



საქართველოს პარლამენტი

სტაბილურ დემოკრატია სჭირდება ძლიერი პარლამენტი

პრესაანონსი

შესაძლებლობები პარლამენტის გაძლიერებისა და სამოქალაქო სექტორის ჩართულობისთვის

15 მაისს, 10:00 საათზე პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე თამარ ჩუგოშვილი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს შეხვდება (საქართველოს პარლამენტის სასახლე, ჟიული შარტავას სახელობის დარბაზი (A307)).

შეხვედრაზე იმსჯელებენ საქართველოს პარლამენტის ახალი რეგლამენტისა და ზოგადად, საპარლამენტო რეფორმის ძირითად ასპექტებზე, ყურადღება გამახვილდება საპარლამენტო საქმიანობაში სამოქალაქო საზოგადოების ჩართვის შესაძლებლობებზეც.

შეხვედრის მონაწილეები საპარლამენტო რეფორმის საკომუნიკაციო კამპანიის ფარგლებში შექმნილ პროდუქტებს - პარლამენტის რეგლამენტის აპლიკაციას და საინფორმაციო ვიდეორგოლებს გაეცნობიან.

ღონისძიებას ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით არასამთავრობო ორგანიზაცია „დემოკრატიის ლაბორატორია“ გამართავს.

საკონტაქტო პირები:

ქეთევან ბოჯგუა, დემოკრატიის ლაბორატორიის თავმჯდომარე, 577-171733 | keti@demlab.ge

საქართველოს პარლამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაციის დეპარტამენტი
მადონა ნოზაძე, დეპარტამენტის პრესცენტრის უფროსი, 599-557978 | mnozadze@parliament.ge